საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 1348 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

2019 წლის 31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის პოლონეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7[4] მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს თანხმობა მეორე მსოფლიო ომის დაწყების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობისა და პოლონეთის რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ზემოაღნიშნულ ღონისძიებაზე მიწვეულ უმაღლეს თანამდებობის პირებთან შეხვედრების გამართვის მიზნით, 2019 წლის 31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვარშავაში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ 2019 წლის 12 აგვისტოს N 6578 წერილით წარმოდგენილ წინადადებაზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**